ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 243

10 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №80-ში, სს „სასტუმრო ვაკის" შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვაკის ტურისტული ბაზის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 11 სექტემბრის №2658 განკარგულებით კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 17 ივლისის №18.562.885 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №80-ში, სს „სასტუმრო ვაკის" შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვაკის ტურისტული ბაზის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 11 სექტემბრის №2658 განკარგულებით კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01181663162-67 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პორექტირებული უფლებრივი ზონირების დეტალური სავალდებულო რუკა



ტერიტორიის საერთო ფართობი 40 386 კვ.მ

პორექტირების მიზანი: თბილისში ჯავჯავაძის № 80 -ში 2006 წლის 22 თებერვალს ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ №20/121 ბრძანებით მეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში მიწის ნაკვეთი საჯადასტრო კოდით 01.14.10.001.042 გრგ-ს არეალში არ მდებოდა. საჭიროა ცვლილება შეეტანოს ბრძანება №338619 (13.09.2012) მიხედვით ბოლოს მეთანხმებული პორექტირებული გრგ-ში და წითლად ალნიშნული მიწის ნაკვეთი, რომელზეც ინდივიდუალურად გაიცა ქალაქმშენებლობითი პირობები გამოეყოს გრგ-ს ტერიტორიას.

ზონის ტერიტორიაზე განაშენიანების ფართისა და განაშენიანების ინტენსივობის მაჩვენებლები

A სექტორი		
განაშენიანების ფართი	4232.5 კვმ	კ-1=0.25
ტერიტორიის ფართი	16930 კვმ.	
ფართი მაღალ კონტურში	28781 კვმ	კ-2=1.7
ტერიტორიის ფართი	16930 კვმ.	
B სექტორი		
განაშენიანების ფართი	2045 კვმ	კ-1=0.4
ტერიტორიის ფართი	5108 კვმ.	
ფართი მაღალ კონტურში	3065 კვმ	კ-2=0.6
ტერიტორიის ფართი	5108 კვმ	
C სექტორი		
განაშენიანების ფართი	2696 კვმ	კ-1=0.25
ტერიტორიის ფართი	10784 კვმ	
ფართი მაღალ კონტურში	18332.8 კვმ	კ-2=1.7
ტერიტორიის ფართი	10784 კვმ.	
D სექტორი		
განაშენიანების ფართი	4538.4 კვმ	კ-1=0.6
ტერიტორიის ფართი	7564 კვმ.	
ფართი მაღალ კონტურში	16640.8 კვმ	კ-2=2.2
ტერიტორიის ფართი	7564 კვმ.	

პირობითი აღნიშვნები

- გრგ-ს საპროექტო საზღვარი
- მიწის ნაკვეთის საჯადასტრო საზღვარი
- სექტორი საზღვარი
- A სექტორი
- B სექტორი
- C სექტორი
- D სექტორი
- არსებული სერვიტუტი
- დასრულებული შენობა
- საპროექტო შენობა
- დასრულებული შენობა, რომლიც გაანვითარდა ინდივიდუალური ქალაქმშენებლობითი პარამეტრებით

1. ზონის სახეობა (სზ-4 მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა)

1	2
3	4
5	6

2. სართულიანობა ან სიმაღლე
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2
5. გამწვანების კოეფიციენტი კ-3
6. სახურავის ტიპი

დამკვეთი CLIENT	დავით ხატიაშვილი
პროექტი PROJECT	ჯაის ტერასის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის პორექტირება
მისამართი ADDRESS	ი. ჯავჯავაძის №80

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. სალვინი	
მთ.არქიტექტორი	გ. სულბარიძე	
პეტორი	გ. სულბარიძე	
	ა.მამულაშვილი	
დამმეშვე	ა.მამულაშვილი	

ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE	1:1000	თარიღი DATE OF ISSUE	6/8/2018
ნახაზი DRWG	უფლებრივი ზონირების დეტალური სავალდებულო რუკა	REVISIONS	

N	პორეკტ. REV.	თარიღი DATE
1		
2		
3		
4		
5		
6		

სტადია STAGE		ინდექსი INDEX	ფურცლ. PAGES
პორეკტირება			

განაშენიანების გეგმის სამართლებრივი საფუძველია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება №8-13 (01.08.20016) ქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ